სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
57459389961115

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N150158274

რეგისტრაციის თარიღი
18.02.2015 წ

ნოტარიუსი: ვალიდა ნინიძე
მისამართი: ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.2-ა
ტელეფონი: 277679

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
ქალაქი ბათუმი
სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის თვრამეტ თებერვალს მე, ვალიდა ნიჟარაძე ნოტარიუსმა ქალაქ ბათუმში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 2-ა. აღნიშნულ სანოტარო ბიუროში მომმართა ინდივიდუალურმა მეწარმემ „ნესტან შერვაშიძე" (ინდ სამეწარმეო რეგისტრირებული 21.01.2015 წელს პირადი №61006009446 ) ნესტან შერვაშიძემ, დაბად. 08.03.1961 წელს, მცხ. ხელვაჩაური, ს. თხილნარი, პირადი №61006009446, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე ნესტან შერვაშიძის პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაც სანოტარო აქტის შედგენისა და დამოწმების დროის ეჭვს არ იწვევდა, ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება, თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი : B15010297 ამონაწერის მომზადების თარიღი 21.01.2015 წელს მე შევადგინე მინდობილობა, მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა, მან წაიკითხა მინდობილობა და დაადასტურა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის მიერ გამოვლენილ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქალაქი ბათუმი, ორი ათას თხუთმეტი წლის თვრამეტი თებერვალი

ნესტან შერვაშიძე, როგორც ინდ.მეწარმე „ნესტან შერვაშიძე" ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ გულნარა ვარშანიძეს, დაბად. 11.06.1980 წელს, პირადი N61008001251, მცხ.ქედა, ს. ზუნდაგა.

ა) მართოს და განკარგოს, ანგარიში საბანკო დაწესებულებებში, ყოველ სხვის ცენტრსა და განყოფილებაში აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაცია, გახსნას ანგარიშები, შეიტანოს, გადარიცხოს და/ან გამოიტანოს თანხები, მოახდინოს კონვერტაცია, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკის მომსახურებით, მიიღოს ამონაწერები, ინფორმაცია საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის მოძრაობისა და ნაშთების შესახებ;

ბ)წარმოადგინოს ინდმეწარმე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მისი მმართველობის სფეროში მოქმედ ცენტრებში, განყოფილებებში და ინსპექციებში, მიიღოს საკასო აპარატები, უზრუნველყოს რეგისტრაცია, მიიღოს და განაბაჟოს ტვირთი, გადაიხადოს თანხა, შეავსოს დეკლარაცია.დადოს კომერციული გარიგებები და უზრუნველყოს მათი შესრულება, შეიძინოს საქონელი, მოახდინოს საქონლის (ტვირთის) მიღება, ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის წარმოება (საქონლის გაფორმება, დეკლარირება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, შევსება, მიღება, სატარიფო ღირებულების გადახდა და სხვ.

აღნიშნული დავალების შესასრულებლად იყოს წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საჯარო რეესტრში, მიიღოს და წარადგინოს ცნობები, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტაციას, გარიგებებს, და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოქმედება და ფორმალობა, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან. მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად რომელთაგან ერთი ინახება ჩემს ნოტარიუსის ვალიდა ნიჟარაძის სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განაცხადის ნომერი B15010297 ამონაწერის მომზადების თარიღი 21.01.2015 წელს.

გადახდილია საზღაური 10 ლარი, აგრეთვე 2 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში, სანოტარო რეგისტრაციის საფასური, სულ 12 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობებისათვის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ) ( საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. №507 დადგენილების 31-ე, მუხლის მე 7 პუნქტისა და 39 -ე მუხლისა.

მომნდობი:..............................

ნოტარიუსი:..............................